



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

10 სექტემბერი, 2021 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

მოსამართლე - თეა ძიმისტარაშვილი

კერძო საჩივრის ავტორი - ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი“

მოწინააღმდეგე მხარე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 ივნისის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 ივნისის განჩინების გაუქმება

კერძო საჩივრის განხილვის ფორმა- ზეპირი მოსმენის გარეშე

**საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების
დასკვნებზე მითითება**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, 2021 წლის 04 ივნისს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ბავშვების საუკეთესო ინტერესის, მათი ძალადობისგან და ბავშვთა უფლებების სხვა დარღვევებისგან დაცვის



გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე დროებითი განჩინების მიღება. კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალოს ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხული ყველა ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ან რეინტეგრაცია) გადაყვანას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 ივნისის განჩინებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მიღებული იქნა დროებითი განჩინება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალოს ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ან რეინტეგრაცია) გადაყვანას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ:

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

სასამართლომ განმარტა, რომ საკუთარი უფლების და თავისუფლების სასამართლოში დაცვის უფლებით დაცული სფერო ასევე გულისხმობს პირის სადავო უფლების სწრაფ და ეფექტიანად რეალიზაციის სასამართლოს მიერ უზრუნველყოფას, კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძველების არსებობის შემთხვევაში, რათა

სასამართლოს გზით უფლების დაცვა ქმედითად განხორციელდეს.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ორ ისეთ ღონისძიებას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი). დროებითი განჩინების, როგორც უფლების დაცვის დროებითი საშუალების გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს, სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მითითებული ნორმით დადგენილია სარჩელის აღძვრამდე სასამართლოსადმი მიმართვის პრაქტიკა და აღნიშნულს გააჩნია პრევენციის დანიშნულება, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მოსალოდნელ საშიშროებას, რაც შეიძლება გამოიხატოს არსებული მდგომარეობის შეცვლაში ან განმცხადებლის უფლების რეალიზაციისათვის ხელის შეშლაში ან გართულებაში. ამასთან, დროებითი განჩინება, ფაქტობრივად წარმოადგენს უფლების დაცვის დროებით ღონისძიებას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ნორმის შინაარსიდან ნათელია, რომ სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ამგვარი განჩინება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, როდესაც სარჩელის შეტანა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფლების დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე ეხება ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხული ყველა ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებათა დაცვას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა იცავს ბავშვის ინტერესებს, ბავშვის უფლებებს და მისი ინდივიდუალურობის შენარჩუნებას.

სასამართლომ მიუთითა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად. მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას მიმართავენ ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებების ან მრწამსის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციის ან დასჯისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს. კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულბელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის ინტერნეტსივრცეში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი

მოპყრობა ოჯახში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მიწოდებისას, სამედიცინო დაწესებულებაში ან/და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, პენიტენციურ დაწესებულებაში და ნებისმიერ სხვა ადგილზე. აღნიშნული ქმედება იწვევს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრებას. ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მის შესახებ შეტყობინებისთვის, გასაჩივრებისთვის, რეფერირებისა და გამოძიებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

სასამართლომ მიუთითა ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაზე, რომლის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზებისათვის, სხვა ბავშვების თანასწორად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ხოლო ამავე კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

ამდენად, ბავშვთა უფლებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობითაც.

შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ბავშვების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შესაძლოა ამ წუთებში ემუქრებოდეს საფრთხე. მისი მითითებით, არსებობს უდიდესი საშიშროება, საფრთხე, რომ სარჩელის საბოლოო გადაწყვეტამდე შეუქცევადად დაირღვეს ბავშვთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის, აგრეთვე, ძალადობისგან დაცვის უფლება და სამომავლოდ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება დაკარგავს მნიშვნელობას.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარის მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლოში ამ ეტაპზე აღძრული არ არის სარჩელი, რომლის განხილვასაც შესაბამისი დრო ესაჭიროება, სასამართლომ მიიჩნია, რომ იზრდება იმის ალბათობა, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის

გამოუყენებლობის შემთხვევაში, შეილახოს ბავშვთა ინტერესები და მას მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ საკითხი ეხება არასრულწლოვანთა ინტერესებს, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება შეექმნას საფრთხე შესაბამისად, არ უნდა დაზარალებს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას სახელმწიფო უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ოჯახის ერთიანობის პრინციპს, არასრულწლოვნის კეთილდღეობას, სოციალურ განვითარებას, უსაფრთხოებას და არასრულწლოვნის მოსაზრებას, მისი ასაკისა და უნარების (მათ შორის, განვითარების დონის, აღქმისა და კომუნიკაციის უნარების) გათვალისწინებით. სასამართლომ კი, არა მხოლოდ სწორად და ობიექტურად უნდა გადაწყვიტოს დავა, არამედ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების დაცვა სამომავლო აღუსრულებლობისაგან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დროებითი განჩინების სამართლებრივი ბუნება, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დროებით მოწესრიგებას გულისხმობს და მისი მოქმედების ვადა ვერ იქნება განუსაზღვრელი, რამდენადაც იგი საბოლოოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ქმედითად აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება და შესაბამისად, მისი მოქმედების დროც სასამართლოში საქმის განხილვის დროს უკავშირდება, რაც სათანადო (შესაბამისი ქმედების განხორციელების მოთხოვნით) სარჩელის აღძვრით უნდა განხორციელდეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამავე კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

მითითებული კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო 416-ე მუხლის მიხედვით, კერძო

საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

განსახილველ შემთხვევაში, განცხადებაზე დართული სხვადასხვა მტკიცებულებების, მხარის განმარტებით, მათ შორის, თავად პანსიონატში მოთავსებული არასრულწლოვანი პირების განმარტების საფუძველზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მიღებული უნდა იქნეს დროებითი განჩინება, რომლითაც - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უნდა დაევალოს ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ან რეინტეგრაცია) გადაყვანას. ამასთან, განმცხადებელს განესაზღვრება ვადა - 10 დღე შესაბამისი სარჩელის აღძვრისათვის.

რაც შეეხება შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნას ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხულ დანარჩენ ბავშვთა (არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები) უფლებათა დაცვას, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სპეციალური მოსარჩელის სტატუსზე, რომელი სტატუსითაც ითხოვს შუამდგომლობის ავტორი დროებითი განჩინების გამოცემას და შემდგომში აპირებს სარჩელის აღძვრას. აღნიშნული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაცია არის დაინტერესებული მხარე, რომელიც ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები ამ მუხლში მითითებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კოლექტიურ დარღვევას ან სავარაუდო დარღვევას. სასამართლომ განმარტა, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სპეციალური მოსარჩელის სტატუსი ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად გააჩნია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით, ხოლო დანარჩენ ბავშვებთან (არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები)

მიმართებით შუამდგომლობის ავტორი წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს წარმოადგინოს როგორც შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის, ასევე აღნიშნულ პირთა უფლებების დასაცავად სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით.

სასამართლომ გაიზიარა თავად შუამდგომლობის ავტორის განმარტება, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სპეციალური მოსარჩელის სტატუსის საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, როგორც მაკონტროლებელი და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, როგორც სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების კანონიერი წარმომადგენელი, მიიჩნევა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოდ, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, უწევს მზრუნველობას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებს. შესაბამისად, თუკი ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, უფლებამოსილი პირის მიერ იქნება წარმოდგენილი შუამდგომლობა, იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე მზრუნველობა დაქვემდებარებულ ბავშვს შესაძლოა მიადგეს რაიმე სახის ზიანი, სასამართლოს შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს ბავშვის დაცვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე და გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა მოცემულ ნაწილში ამ ეტაპზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 ივნისის განჩინება გასაჩივრებულ იქნა კერძო საჩივრით ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის“ მიერ.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ შუამდგომლობის ავტორს გააჩნდა სპეციალური მოსარჩელის სტატუსი და შუამდგომლობის წარდგენის უფლება, რაც განსაზღვრულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, როგორც „დაინტერესებულ მხარეს“ და სპეციალურ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა სასამართლოში დაეცვა შშმ ბავშვების უფლებები, მაგრამ სასამართლოს მცდელობაც კი არ ჰქონია გაერკვია თვითონ თუ ჰქონდა ასეთი დროებითი განჩინების გამოტანის უფლება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ მოსარჩელეს შეუძლია შშმ პირების ინტერესების, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დაცვისა, სასამართლოს უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოერკვია წარდგენილი შუამდგომლობის შინაარსი ნამდვილად შეესაბამებოდა თუ არა შშმ პირების ინტერესებს, თუ ეს იყო მხოლოდ „სპეციალური მოსარჩელის“ ინიციატივა და ინტერესები. სწორედ ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი იმპერატიულად განმარტავს,

რომ: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული“ აგრეთვე: „სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდულ შესაძლებლობების ბავშვებისათვის სხვა ბავშვებთან თანასწორად აზრის თავისუფლად გამოხატვის მათთვის მნიშვნელოვან საკითხზე, ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით. ამ უფლების რეალიზებისას ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ შესაძლებლობის შეზღუდვისა და მათი ასაკის შესაბამისი დახმარებით“. გამომდინარე იქიდან, რომ ვინაიდან სასამართლომ სპეციალური მოსარჩელე მიიჩნია შშმ ბავშვების „უფლებების დამცველად“, შესაბამისად პანსიონატში მყოფი შშმ ბავშვები მიჩნეულია როგორც მხარე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტი ადგენს მხარეთა საპროცესო უფლებებს, რომლის თანახმადაც: „არასრულწლოვანს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან ერთად უფლება აქვს, ბავშვის უფლებათა კოდექსის 70-ე მუხლის მე 4 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღოს ინფორმაცია იმავე მუხლის მე 5 ნაწილის შესაბამისად“. ბავშვის უფლებათა კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილი ადგენს, რომ: სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის საკითხებზე მართლმსაჯულების სისტემასთან ბავშვის პირველივე კონტაქტისას უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია მართლმსაჯულების პროცესის, მასში ბავშვის მონაწილეობის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ა) ბავშვის უფლებები და როლი სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში; ბ) მხარდაჭერის მექანიზმები პროცესში მონაწილეობისთვის; გ) პროცესის შესაძლო შედეგები; დ) პროცესის ადგილი და თარიღი – როდესაც ბავშვი პროცესის უშუალო მონაწილეა; ე) გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები; ვ) დამრღვევისგან ან სახელმწიფოსგან სასამართლოს მეშვეობით ან სხვა, ალტერნატიული გზით ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა; ზ) დამხმარე სერვისების (ჯანმრთელობის დაცვის სერვისი, ფსიქოსოციალური დახმარების სერვისი, თარჯიმნის მომსახურება და სხვა) ან სასწრაფო ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა. ბავშვს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს და კონსულტაცია უნდა გაეწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით. ანსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივი შეფასებით ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ როგორც დაინტერესებული მხარე (სპეციალური წარმომადგენელი) არის ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდას წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი“-ს ბენეფიციარი შშმ ბავშვების უფლებების დამცველი, ანუ შშმ ბავშვები ავტომატურად არიან მხარეები, მაგრამ მათი ზემოხსენებული უფლებები იქნა უხეშად დარღვეული, ვინაიდან შშმ ბავშვებს არ ჰქონიათ არანაირი ინფორმაცია შუამდგომლობისა და სასამართლოს დროებითი განჩინების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენისთანავე სახეზე იყო შშმ ბავშვების „მართლმსაჯულების სისტემასთან პირველი კონტაქტი“, რის გამოც გადაწყვეტილების მიღებამდე სასწრაფოდ უნდა ყოფილიყო ყველა ღონისძიება გატარებული ბავშვების უფლებების

რეალიზებისათვის. „ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ სასამართლოს მიერ უგულვებელყოფა, ბავშვების არაინფორმირებულობა და მათი ნამდვილი ნებ. დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მიერ ტელევიზიებით 2021 წლის 09 ივნისს მიცემული ინტერვიუთი, სადაც მინისტრის მოადგილე აღნიშნავს რომ „ყველას არ ჰქონდა სურვილი რომ გადაყვანილიყო და ძალიან დიდი ძალისხმევა გასწია ფსიქოლოგებმა და სოციალურმა მუშაკებმა, რომ ასეთი სწრაფი ფორმატით მომხდარიყო ბავშვების დარწმუნება, რომ დაეტოვებინათ დაწესებულება, სადაც ისინი იზრდებოდნენ“. ფსიქოლოგებსა და სოც მუშაკებს რომ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ბავშვების დარწმუნებაში, დაეტოვებინათ მათთვის სასურველი გარემო, სწორედ ესაა ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრული უკანონო იგნორირება, რაც გამოიწვია დროებითმა განჩინებამ.

სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნულ საჩივარში მითითებული გარემოებები გათვალისწინებინა და მიეღო კანონიერი გადაწყვეტილება, იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით და დროებითი განჩინებით, როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული, გარანტირებული და დაცული უფლებების უგულვებელყოფითა და უხეში დარღვევით. სასამართლომ დროებითი განჩინებით, შუამდგომლობის ავტორის ინტერესების დასაცავად, უხეშად დაარღვია ბავშვების კანონიერი უფლებები და ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატის“ კანონიერი ინტერესები. კერძოდ: ბავშვზე ზრუნვის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო საზოგადოება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თანხმდებიან და აღიარებენ, რომ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და სათუთ მოპყრობას. სწორედ აქედან მომდინარეობს ტერმინი „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“, რომლის ფუნდამენტური არსია ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, განსაკუთრებით მასთან დაკავშირებით მისაღებ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე მისი აზრის მოსმენა და გათვალისწინება; მისი უფლება იცოდეს მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისა თუ სასამართლო დავის შესახებ და პროცესის ყველა სტადიაზე მიიღოს მონაწილეობა და გამოხატოს საკუთარი აზრი. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო, შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, ნაცვლად უტყუარი და კანონისმიერი სტანდარტით დადგენილი მტკიცებულებებისა, დაეყრდნო შუამდგომლობის ავტორის უსაფუძვლო ვარაუდს, ცრუ განმარტებებს და გაურკვეველი სახისა და შინაარსის მასალებს და ფაქტობრივად „გასცა შტურმის“ განკარგულება სააღმზრდელო დაწესებულებისა და შშმ ბავშვების წინააღმდეგ. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებული იყო საფუძვლიანად შეესწავლა ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდას წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში“ რიცხული ყველა შშმ ბავშვის შესახებ ინფორმაცია, მოეხდინა მათი იდენტიფიცირება და შესაბამისი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის შეფასებისა და დასკვნების საფუძველზე ინდივიდუალურად, თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით,

მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიეღო კანონიერი გადაწყვეტილება: სასამართლომ კი არც გაარკვია რა ასაკის, როგორი ჯანმრთელობის მდგომარეობის რამდენ ბავშვს შეეხო მისი გადაწყვეტილება, რომლითაც შეუცვალა მათთვის ჩვეული მშობლიური და კომფორტული გარემო, საცხოვრებელი და სასწავლებელი, მათივე საუკეთესო ინტერესების სრული უგულვებელყოფით. სასამართლომ იმსჯელა: მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დროებითი განჩინების გამოტანაზე და შუამდგომლობის ინიციატორის ინტერესის გატარებაზე და არა ბავშვების უფლებებსა და მათ კანონიერ ინტერესებზე. დროებითი განჩინება შეეხო მხოლოდ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდას წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში“ მყოფ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, მაგრამ რეალურად შედეგად მივიღეთ შშმ ბავშვებისა და პანსიონატში მყოფ სხვა ბავშვებს შორის არათანასწორი მიდგომა და ბავშვების მიმართ აშკარა დისკრიმინაცია, რაც უკიდურესად სტრესულ გარემოში აყენებს ყველა ბავშვს, ეს კი ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პირველი მუხლის შესაბამისად: ამ კოდექსის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის: ა) ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას; გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე; გ) ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფას, მის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას, ბავშვის მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით - მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდას; დ) ბავშვის სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას; სწორედ ამ და სხვა კეთილშობილურ მიზნებს ახორციელებს ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდას წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი“ წლების განმავლობაში, რომელსაც სააღმზრდელო დაწესებულების ლიცენზია მიღებული აქვს 28.04.2015 წელს; ბავშვებს ემსახურებიან კვალიფიციური, გადამზადებული და სერტიფიცირებული კადრები; თითოეული ბავშვის სრულყოფილი აღზრდისა და განვითარებისთვის შექმნილი აქვთ ყველა საუკეთესო პირობა, როგორც მატერიალური-ტექნიკური, ასევე სულიერი თვალსაზრისით; პანსიონატში სისტემატურად ხორციელდება შესაბამისი მონიტორინგი, რომელიც მხოლოდ ბოლო წელს, პანდემიისა და დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით დროებით შეფერხდა; დაარსებიდან დღემდე პანსიონატში ძალადობის ან ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის არცერთი ფაქტი

არ არის დადასტურებული. სასამართლოს მიერ, მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდზე დაყრდნობით მიღებულმა უკანონო დროებითმა განჩინებამ ერთგვარი ლეგიტიმაციის განცდა გააჩინა საზოგადოებაში იმ ცილისმწამებლური და ცრუ ბრალდებებისა, რომთი თქოს პანსიონატში მართლაც ხდება ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობა აღნიშნული ცილისმწამებლური ინფორმაციისა და სასამართლოს გაუაზრებელი და უკანონო განჩინების შედეგად პანსიონატის ბენეფიციარ ბავშვებს უმძიმესიად შეელახად პატივი და ღირსება, ასევე განიცდიან უმძიმეს ფსიქო-ემოციურ წნეხსა და სტრესს. ამასთან, დროებითი განჩინება პირდაპირ ეხება ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდას წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატს“, რომლითაც ელახება საქმიანი რეპუტაცია და ადგება გამოუსწორებელი ზიანი.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ დროებითი განჩინებით უხეშად დაირღვა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ: ა) „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-3 მულით თანახმად განმარტებულია: ბავშვის საუკეთესო ინტერესები - ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით; ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება - მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ყველა უფლების პატივისცემასა და ეფექტიან რეალიზებას ბავშვის მონაწილეობის, მისი საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის ღირსების პატივისცემის, უთანასწორო მოპყრობის დაუშვებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული; გონივრული მისადაგება — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც არ იწვევს არათანაზომიერი ვალდებულების წარმოშობას და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად რეალიზებას;

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ განხორციელებულა ბავშვზე/ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულება; არ იქნა გათვალისწინებული ბავშვის/ბავშვების საუკეთესო ინტერესები; გონივრული მისადაგების ნაცვლად მოხდა ბავშვების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლით გარანტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება. ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება, ბავშვის საუკეთესო

ინტერესების განსაზღვრისას გათვალისწინება მისი ოჯახურ გარემოში პიროვნულ-განვითარების უფლება, ბავშვის სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა და ბავშვის მოსაზრებები; ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა და: საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას. სამართლის ნორმის განმარტებისას გამოყენებული უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესები განსაზღვრონ და მათი სავალდებულო შეფასება განახორციელონ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: ა) ბავშვის აზრის მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება; ბ) ბავშვის ყველა სხვა უფლების დაცვა, მათ შორის, ღირსების დაცვის, თავისუფალი განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვისა და ბავშვებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა; გ) მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასება და გათვალისწინება. ბავშვის უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს, ხოლო ქმედება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე. ამ კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამები ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ დროებითი გადაწყვეტილება მიიღო არა ბავშვის/ბავშვების საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებით, (რაც სავალდებულოა, მათ შორის სასამართლოსათვის, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას, არამედ განჩინებაში მხოლოდ შაბლონურად მოიხსენია ტერმინი „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“. ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს იმ კონკრეტული ბავშვების, (რომლებსაც უშუალოდ შეეხოთ დროებითი განჩინება) ინდივიდუალურად აზრის მოსმენისა და სათანადოდ გათვალისწინების ფაქტს; მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზირებული პირების მიერ ბავშვის/ბავშვების ფსიქოლოგიური, სოციალური, ფიზიკური, სამართლებრივი ინტერესების შეფასებას და ბავშვის/ ბავშვების უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილების, ან ქმედების განხორციელების დავალების გაცემისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებას. ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილია ბავშვთა თანასწორობის უფლება: 1. ბავშვთან დაკავშირებული

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას საჯარო დაწესებულება, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან პატივი სცე-
თითოეულ ბავშვს, დაიცვან იგი და თანასწორად მოეპყრონ ბავშვებს, მათი რასის, კანის
ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული
ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი
ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის
შეზღუდული შესაძლებლობის, საქმიანობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად. 2
სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბარ უფლებებსა და
შესაძლებლობებს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს ნებისმიერი სახის
უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. 3. სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე ბავშვის უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, მათ
შორის, გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების
დანერგვით. 4. სახელმწიფო ახორციელებს ბავშვის უთანასწორო მოპყრობისგან
დასაცავად, მათ შორის, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის
დისკრიმინაციისგან, სტიგმისა და გარიყვისგან დასაცავად, საჭირო ყველა
ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებას. ~

სასამართლომ ბავშვის/ბავშვების საუკეთესო ინტერესების მულტიდისციპლინური
მიდგომით შეფასების, ასევე გონივრული მისადაგების გარეშე, ბავშვის/ბავშვების
საუკეთესო ინტერესების უზღვეველყოფის შედეგად დაარღვია ბავშვის უფლებათა
კოდექსის მე-7 მუხლიც, რამეთუ თავისი არაკომპეტენტური, მტკიცებულებების გარეშე
და შედეგის გაუაზრებლად მიღებული დროებითი განჩინებით არათუ აღმოფხვრა,
არამედ თავად შექმნა ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციის ფაქტი.

განჩინების შინაარსიდან გამომდინარე მოხდა ბავშვების კონკრეტული ნიშნით დაყოფა,
რაც ყველა ბავშვში უსამართლობის განცდას აჩენს. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-8
მულით გარანტირებულია ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე:
1. ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის
რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და
გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება. მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. 2.
ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი
აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით,
მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით. 3.
დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის,
შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა. 4. ბავშვთან
გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული,
ნებაყოფლობითი, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების
გამომხატველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავშვის
საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ წარმართული.

განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულ ბავშვებს, რომელთაც შეეხოთ სასამართლოს
განჩინება, მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ან მიღების დროს,

საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება არ მისცემიათ. განსაკუთრებით იმ ნაწილში რომ საერთოდ სურდათ თუ არა მათთვის გაურკვეველი წარმომავლობის ორგანიზაცია სასამართლოში წარედგინა შუამდგომლობა მათი ბედის გადასაწყვეტად, იმ ფონზე როდესაც მათ ჰყავთ კანონიერი წარმომადგენლები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი განჩინება მიღებულია 2021 წლის 5 ივნისს, ამავე წლის 04 ივნისიდან პანსიონატში 24 საათიანი რეჟიმით იმყოფებოდნენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, ბავშვებს ჰყავთ კანონიერი წარმომადგენლები და იმ შემთხვევაში, თუ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვის უფლებებს, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა, შესაბამისი კვალიფიციური და კომპეტენტური პირები მოახდენდნენ კანონით გათვალისწინებულ ჩარევას და რეაგირებას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დააკმაყოფილა სავარაუდო სპეციალური მოსარჩელის შუამდგომლობა შშმ ბავშვებთან დაკავშირებული, ისე რომ არ მომხდარა კონკრეტული ბავშვების აზრის დაფიქსირება და როგორც ჩანს, სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგან შშმ ბავშვებთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, მათი პოზიციის დაფიქსირება არ იყო საჭირო, რითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უკანონოდ შეუზღუდა კანონით გარანტირებული აზრის გამოხატვისა და მონაწილეობის უფლებები.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 81- ე მუხლით დადგენილია ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთების საფუძვლები, რომლის მიხედვითაც 1. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. — 2. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. 3. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების (მათი უპირატესი გათვალისწინების) მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს შემდეგი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით: ა) ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება; ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა; გ) ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მისი შეურაცხყოფისა და საფრთხის თავიდან აცილება; დ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა; ე) ბავშვის მოსაზრებები; 3) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა; ზ) ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობა; თუ ბავშვის მოსაზრების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების ეტაპზე ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან. აცილების კონკრეტული ღონისძიებები; ი. ი) სხვა საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადაწყვეტაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ მიღებულია დროებითი განჩინება, მომავალში წარსადგენი სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დროებითი განჩინება თავისი არსით ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდას

წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში მყოფი შშმ ბავშვებისათვის არის გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ მათ ეხებათ და რომლითაც ირღვევა მათი უფლებები, შესაბამისად სასამართლო თუნდაც დროებითი განჩინების ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით დასაბუთებული უნდა იყოს ზემოხსენებული საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით გასაჩივრებული დროებითი განჩინება არ არის ამ კრიტერიუმებით დასაბუთებული კერძოდ: სასამართლოს არ ჰქონდა ინფორმაცია და ვერც ასაბუთებს მის მიერ მიღებულ დროებითი განჩინება ინდივიდუალურად ვის ეხება, მათი ფიზიკური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობა; საქმეში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული შშმ ბავშვების მოსაზრებები ინდივიდუალურად; შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისა და პირების მიერ მომზადებული შეფასება და დასკვნა თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით, კონკრეტული ბავშვებისა და მათი საადმინისტრაციო დაწესებულებას შორის ურთიერთობის შესახებ უტყუარი ინფორმაცია და სხვა, კანონით გათვალისწინებული სტანდარტებით დასაბუთება.

სასამართლოს დროებითი განჩინებით, პრაქტიკულად სარჩელის ადმინისტრაციის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მათი ნების საწინააღმდეგოდ, შესაბამისი სპეციალისტებისა და კანონიერი წარმომადგენლების დასკვნებისა და მონაწილეობის გარეშე, სარჩელის უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულია შშმ ბავშვები, რაც არის ყოველად დაუშვებელი და უკანონო და არღვევს ბავშვის საყოველთაოდ აღიარებულ და დაცულ ფუნდამენტურ უფლებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დროებითი განჩინების გასაჩივრების მიზანს, უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ბავშვთა უფლებების დაცვა. კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებით, რომლის პროცესუალური სტანდარტიც არასაკმარისია სამართლებრივი საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად, დაუშვებელია გადაწყდეს ბავშვის მიკუთვნების საკითხი. თუ სასამართლო პრაქტიკა ამგვარ სტანდარტს დაამკვიდრებს საფრთხე შეექმნება სახელმწიფოს სამართლებრივი უსაფრთხოების სტაბილურობას, რადგან მსგავსი სტანდარტით, შესაძლებელი გახდება ბავშვების არა მხოლოდ პანსიონატებიდან, არამედ ოჯახებიდან გაყვანაც კი. რაც ძალიან სახიფათო პრეცედენტი.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ დროებითი განჩინების მიღებით სასკ-ის 31-ე მუხლს მისცა ახალი შინაარსი, კერძოდ, მისცა მას უფლების დაცვის დამოუკიდებელი ინსტიტუტის ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც მიიღო არა დროებითი გადაწყვეტილება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება, არამედ საბოლოო გადაწყვეტილება. გარდა იმისა, რომ სასამართლო გასცდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს და შეიჭრა კანონმდებლის უფლებამოსილების სფეროში, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული მუხლის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილება არ პასუხობს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების არც ერთ სტანდარტს. დარღვეულია „საქართველოს კონსტიტუციის“; „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის; „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“; „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის; „დისკრიმინაციის ყველა ფორმი აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის; „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-13, 69-ე, 70-ე, 72-ე, 74-ე, 75-ე, 78-ე, 79-ე, 80-ე, 81-ე, 95-ე მუხლების მოთხოვნები.

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა გაეცნო რა საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419.1. მუხლით კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს, ხოლო ამ კოდექსის 420-ე მუხლით კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში განხილვა წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს და დამატებით აღნიშნავს შემდეგს:

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლის გამო.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე.

პალატა განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეექმნას რწმენა და ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდი, რომ დროებითი განჩინებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალოს ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხული ყველა ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ან რეინტეგრაცია) გადაყვანას.

"ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად. მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას მიმართავენ ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებების ან მრწამსის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციის ან დასჯისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ

მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.

პალატა ასევე მიუთითებს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 53-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულბელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის ინტერნეტსივრცეში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ოჯახში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მიწოდებისას, სამედიცინო დაწესებულებაში ან/და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, პენიტენციურ დაწესებულებაში და ნებისმიერ სხვა ადგილზე. აღნიშნული ქმედება იწვევს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრებას. ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მის შესახებ შეტყობინებისთვის, გასაჩივრებისთვის, რეფერირებისა და გამოძიებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზებისათვის, სხვა ბავშვების თანასწორად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ხოლო ამავე კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა წამების ან სასტიკი,

არაკუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

პალატა მიუთითებს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე რომლის თანახმად, ალტერნატიული ზრუნვა – სახელმწიფოს მიერ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის ოჯახური ზრუნვის ისეთი მომსახურებით: უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და უპირატესად ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს, ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელი განვითარების, აზრის მოსმენისა და მონაწილეობის და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს; კ) რეზიდენტული ზრუნვა – ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება შეძლებისდაგვარად უმოკლესი ვადით უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მინდობით აღზრდის მიზნით განთავსება ან შვილად აყვანა შეუძლებელია.

პალატა განმარტავს, რომ მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებით, ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, ბავშვის რეზიდენტულ ზრუნვაში (ინსტიტუციაში) განთავსება მასზე ზრუნვის უკანასკნელ ზომას წარმოადგენს და იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ზემოაღნიშნული ფორმა ხელმიუწვდომელია. ინსტიტუციური მხარდაჭერა უნდა განიხილებოდეს, როგორც დროებითი ღონისძიება და უნდა გაგრძელდეს მუშაობა იქ განთავსებული ბავშვის ოჯახურ გარემოში დაბრუნების მიზნით.

აქვე, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს "ბავშვის უფლებათა კოდექსის" 32-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებას, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, მიმართ **რეზიდენტული ზრუნვის ეტაპობრივ ჩანაცვლებას მინდობით აღზრდისა და სხვა, ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით.** ამ მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიან სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებების ეტაპობრივი დახურვის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის აპელირებას ბავშვის/ების მოსმენის უფლებასთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი გარემო, რომელშიც პატივისცემით მოეპყრობიან ადამიანის ღირსებას და უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისი სიცოცხლის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეუვალი უფლების სრული პატივისცემა. აქვე, აღსანიშნავია, რომ საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებაში; იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, უნდა

მოხდეს ყოველი კონკრეტული გარემოებების შეფასებით.

შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე იყო ნინოწმინდის პანსიონატში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სწრაფი რეაგირების საფუძვლები და შესაბამისად, არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობები როც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დავალებოდა ქმედების განხორციელება, რომლითაც ისინი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე უზრუნველყოფენ ნინოწმინდის პანსიონატში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ან რეინტეგრაცია) გადაყვანას.

სააპელაციო პალატა კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკითხი ეხება არასრულწლოვანთა ინტერესებს, სასამართლოში ამ ეტაპზე აღძრული არ არის სარჩელი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაძლოა შეილახოს ბავშვთა ინტერესები. პალატის მოსაზრებით, აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დავის დასრულებამდე, ვინაიდან არ უნდა დაზარალდეს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კერძო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ კერძო საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელია, ვინაიდან სახეზე არაა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 ივნისის განჩინება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე, კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე გადახდილი 50 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი 29-ე, და 34.1¹ მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 ივნისის დროებითი განჩინება.
3. განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე



თეა ძიმისტარაშვილი

სსიპ დედათაძე სსიპი
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

დამოწმდა: 28 ივნისი 2021 წ.